**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის 2023 წლის 19 აპრილის სხდომის**

**ოქმი N2**

სხდომა დაიწყო 16:00 საათზე

სხდომას ესწრებოდნენ:

**ნინო ლაცაბიძე** - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე;

**ბესიკ ტოგონიძე** - მერის მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე;

**კახა გურული** - მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ოთარი ტატალაშვილი** - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**მამუკა მამაიაშვილი** - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე;

**მიხეილი მუზაშვილი** - ადმინისტრაცია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ზაზა ზაზაძე** - ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ლაშა ბუსხრიკიძე** - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ნინო სოსელია** - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ეთერი ქურდიანი** - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - სამუშაო ჯგუფის მდივანი;

**არამუდმივი წევრები:**

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელები;

სხდომა გახსნა სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილემ - **ბესიკ ტოგონიძემ**

**ბესიკ ტოგონიძე**: დღეს ვიხილავთ 5 აპრილამდე დარგობრივი სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების მიერ წარმოდგენილ პროგრამების 3 თვის ანგარიშს.

**მამუკა მამაიაშვილი**: ბიუჯეტირების პროცესის შეუფერხებელი და სრულყოფილი წარმართვისათვის აუცილებელია მუნიციპალური სამსახურების მიერ ანგარიშების დროული და სწორი წარდგენა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურისათვის.

რაც შეეხება საბიუჯეტო პარამეტრების 3 თვის შესრულებას, წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით 2023 წლის ბიუჯეტში:

- შემოსავლების სახით მობილიზებულია 14 662,5 ათ. ლარი, რაც 3 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის (15 295,8 ათ. ლარი) 95,9 პროცენტია, გადასახადების სახით მობილიზებულია 11 195,9 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 428,9 ათ. ლარი) 90,1 პროცენტია, გრანტების სახით მობილიზებულია 1 182,5 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 212,8 ათ. ლარი) 97,5 პროცენტია, სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 2 284,0 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 654,1 ათ. ლარი) 138,1 პროცენტია, არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 2 200,6 ათ. ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 853,0 ათ. ლარი) 118,8 პროცენტია;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2023 წლის 3 თვის ხარჯვითი ნაწილის გეგმამ შეადგინა 22 373,9 ათ. ლარი, მთლიანმა საკასო ხარჯმა - 21 403,6 ათ. ლარი, გეგმის 96%. საერთო დანიშნულების მომსახურება დაფინანსდა გეგმის - 95%, თავდაცვა - 88%, ეკონომიკურ საქმიანობა - 99%, გარემოს დაცვაზე - 92%, საბინაო-კომუნალურ მეურნეობაზე - 93%, განათლება, დასვენება, კულტურასა და რელიგიაზე - 98% და ჯანდაცვასა და სოციალურ დაცვაზე - 92%.

**ბესიკ ტოგონიძე**: ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია პროგრამებით გათვალისწინებული თანხების სწორად გადანაწილება კვარტალურად. ამაში, მესმის შესაძლებელია საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა მოგცეთ რეკომენდაციები მაგრამ ორგანიზაციებმა თავად კარგად უნდა გაიაზროთ პროგრამების სპეციფიკა- ვადები, შესყიდვების ან/და მომსახურეობის პროცედურები და ამის მიხედვით გადაანაწილოთ თანხები კვარტლების მიხედვით, რაც რიგ შემთხვევაში ითხოვს მეტ სიზუსტეს, ასევე გადაულახავი და ობიექტური მიზეზების არსებობისას შესაბამის კურატორთან შეთანხმებით მოახდინოთ გეგმების დროული კორექტირება.

მადლობას გიხდით და გისურვებთ წარმატებებს.

**ნინო ლაცაბიძე** - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი - თავმჯდომარე;

**ბესიკ ტოგონიძე** - მერის მოადგილე - თავმჯდომარის მოადგილე;

**კახა გურული** - მერის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ოთარი ტატალაშვილი** - მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**მამუკა მამაიაშვილი** - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი ბიუჯეტის საკითხებზე;

**მიხეილი მუზაშვილი** - ადმინისტრაცია - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ზაზა ზაზაძე** - ინფრასტრუქტურის განვითარების და ტრანსპორტის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ლაშა ბუსხრიკიძე** - ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ნინო სოსელია** - ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამუშაო ჯგუფის წევრი;

**ეთერი ქურდიანი** - ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - სამუშაო ჯგუფის მდივანი;